**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 153 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 153

**წლ. ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## რედაქციისაგან

**პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი ია ეკალაძისა.

(ავტორის სურათით).

### ფასი ერთი მანეთი.

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან.

(15—9).

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვის. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 12—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**ბრ. მ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ელმი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ვენიდგან დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგის გაზეთებს, აქ ამბავი მოვიდა, ვითომც პორტ-არტურის ჩრდილოეთად იაპონელთა სამი პოლკი გაუწყვეტიათ რუსებსაო.

როდესაც იაპონელები დიდ ბრძოლას აპირობენ, უცხოელ სამხედრო აგენტებსა და კორესპონდენტებს იშორებენ, რომ არა ევნოთ-რა. ეხლაც სწორედ ასე მოქცეულან და თავის ბანაკიდგან უცხოელები დაუთხოვნიათ.

გენერალი კუროკი ავად არის, მაგრამ დაუღალავად შრომობს. ამბობენ, მარშალ ოიამასთან უსიამოვნება ჰქოსვლიაო. (ნოვოსტი)

—

«რუსკი ლისტოკს» შემდეგი დეპეშები მოსვლია შორეულ-აღმოსავლეთიდგან:

«ლიაოიანი, 25 ივნისი. გენერალ კუროკის ერთი დატყვევებული რუსი დაუბარებია და გამოუკითხნია, სად და როგორ არის დაბანაკებული რუსის ჯარი, ხოლო ტყვეს არა უთქვამს-რა. კუროკის ვითომც განუცხადებია, იაპონიას მხოლოდ სამხრეთ-მარჯურიის დაჭერა და პორტ-არტურის აღება უნდაო».

«დაშიცაო, 24 ივნისი. აქ მოიყვანეს რამდენიმე დატყვევებული იაპონელი. მათ შორის აფიცრებიც არის. გამოჰკითხეს ომის ამბავი. იმათ კადნიერად უპასუხეს: იაპონია იარაღს არ აიხსნის და ომს არ შესწყვეტს, ვიდრე რუსებს ბაიკალს იქით არ გავრეკავთო.

—

სეულიდგან «ნ. ი. ჰერ»-ს ატყობინებენ, აქ დაბეჯითებით ამბობენ, იაპონელების ჯარში ხოლერა გაჩენილაო. ამას რუსების ოფიციალური ცნობაც ეთანხმება, ხოლო მოარული დიზენტერიად არის წოდებული.

კორესპონდენტი ამბობს, რუსები სწორედ კარგა მოიქცნენ, რომ გაიჯოუ დასცალეს და იაპონელებს უომრად დაუთმესო. შესაძლოა, დაშიცაოც ესე დაუთმონ და იაპონელების მისვლამდე იქ მცირე რაზმი იყოლიონ. უმთავრესი ნაწილი-კი რუსის ჯარისა ხაიჩენიდგან ლიაოიანისკენ დაიწევს (ნოვოსტი).

—

«ფიგაროსა» სწერენ, ამას წინად ამბავი მოიტანეს, გენერალ კუროკის ჯარი თითქო დაიძრა და მიდის ლიაოიან-მუკდენისკენ, რომ რუსის ჯარს გზა გადაუჭრასო. მეორე დღეს-კი ახალი ცნობები მოვიდა, ეს ჯარი დაიპინ-დაშიცაოსკენ მიდის, სადაც გენერალ კუროპატკინს კარგი ადგილი უჭირავს და ჯარიც საკმაოდ ჰყავსო (ნოვ.).

—

დაშიცაოდგან «სავაჟ. ტელ. სააგენტო» იუწყება, 26 ივნისს დილით იაპონიის ჯარი, რომელშიაც ოთხი დივიზია და ცხენის ბატარეა იყო, გაიჯოუს მიადგაო. ჩვენი ჯარი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ძლიერს მტერსა და არტილერიას ვერ გაუძლო და ნელა-ნელა უკან დაიწია. ამ დროს ჩვენი არტილერია მტერს მაინც იკავებდა. საღამოს იაპონელები შეჩერდნენ. ჩვენ 26 ივნისს დიდი ზიანი არ მოგვცემია, სულ 100 კაცამდეა მოკლული და დაჭრილი. იაპონელებს კი 1,000 კაცი დააკლდებოდათ. როგორც ეტყობა, დაშიცაოსთან დიდი ბრძოლა იქმნება (რ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან დეპეშით იწერებიან: 22 ივნისს ერთი ბატალიონი აღმოსავლეთის რაზმისა წინ წასულა. იაპონელები თოფს ისვრიდნენ, მაგრამ ბატალიონს პასუხი არ გაუცია. ისე მიიპარებოდა. გზაზედ, იაპონელების დარაჯები სულ დახოცა და ტიტხესთან ორი როტა ამოჟლიტა. დაღალულმა ჯარმა ღამე შეისვენა და დილით უკან დაიწია, მაგრამ იაპონელები მრავლად დაედევნენ. ჩვენს ბატალიონს 300 კაცამდე დააკლდა, იაპონელების დანაკარგი ბევრით მეტი უნდა იყოს.

23 ივნისს ჩვენი ერთი პოლკი 25,000 იაპონელს შეებრძოლა, რომელიც მუკდენისკენ მიდიოდა. ეხლა ამ ჯარმა, როგორც საერთოდ გენერალ კუროკის ლაშქარმა, უკან დაიწია. ჩინელ ჯაშუშების ცნობებით, გენერალი კუროკი ამ ჟამად ფენ-შუ-ლინის უღელტეხილთან ბინადრობს (რუს.).

—

მუკდენიდგან 80 ვერსის სიშორეზე ჩრდილოეთად ხუნხუზების დიდი ბრბო გაჩენილა იაპონელების წინამძღოლობით. ხუნხუზები იაპონელებს მოჯამაგირედ დაუჭერიათ და თვითოს 15 მანათს აძლევენ თვეში.

იაპონელები ესეთს საშუალებას ხმარობენ ჩინელ ჯაშუშების შესახებ: თუ მამას ჰგზავნიან დასაზვერად, მის შვილს იტოვებენ მძევლად; თუ შვილსა—მაშინ მამა რჩება. ერთს ჯაშუშს რომ გაგზავნიან, მეორე ჯაშუშს გააყოლებენ, რომ პირველს თვალ-ყური ადევნოს (რუს.)

—

«დეილი ტელეგრაფის» კორესპონდენტი იწერება: იაპონელებს ისეთი გეგმა აქვთ შემუშავებული, რომ შესაძლოა ერთი მილიონი ჯარი გამოიყვანონ საომრად, თუ რომ წელს ომს ბოლო არ მოეღო. ამ გეგმის გამო გაზეთ «ტაიმსის» სამხედრო მიმომხილველი ამბობს: ეჭვი არ არის, რომ იაპონიას შეუძლიან მთელი მილიონი კაცი შეაიარაღოს, თუ რომ საჭიროება მოითხოვს. ნუ დავივიწყებთ, რომ 50 მილიონი მცხოვრები ჰყავს და 30 წლის განმავლობაში სამხედრო ბეგარა ყველასათვის სავალდებულო იყო. იმათი ჯარი გერმანიის სისტემით მოქმედობს (ბ. ვ.).

—

«დეილი დელეგრაფი» იუწყება, იაპონელებმა პორტ-არტურთან, დიდ ციხის სანგრევ ზარბაზნებს გარდა, 100 სხვა 8-დიუიმიანი ზარბაზანიც მიიტანეს ახალის სისტემისა.

რუსები შორეულ - აღმოსავლეთისაკენ ჰგზავნიან დიდ ზარბაზნებს, რომლებიც ოჩაკოვისა, კერჩისა და ბალტიის ციხეებიდგან გაუტანიათო. ზარბაზნის ქარხნები რუსეთში დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობენო (კაზ.).

—

«ბერლ. ტაგ.» სწერენ პეტერბურგიდგან, გენერალი კუროპატკინი მხოლოდ მაშინ შეებრძოლება იაპონელების ლაშქრებს, როდესაც მეათე და მეჩვიდმეტე კორპუსები ჩავლენ შორეულ-აღმოსავლეთში. ეს კი ივლისის გასვლამდე მოსალოდნელი არ არის. რუსები მაშინ გაილაშქრებენ, როდესაც ავდრიანობის ხანა გაივლის და გამოიდარებს. უსაფუძლოა ყოველი ცნობა იმის შესახებ, ვითომც დიდი ომი მალე უნდა მოხდეს. ეს მხოლოდ რუსეთის საზოგადოების მოუთმენლობის ნაყოფია, რადგან ხუთის თვის განმავლობაში სანუგეშო ამბავი არ მიუღია ომის ველიდგან. გენერალი კუროპატკინი მითქმა-მოთქმას ყურს არ ათხოვებს და თავის პირვანდელ გეგმას მტკიცედ ადგია. ამიტომ ომის აღსასრულის დღე ჯერ ისევ შორსააო. (ჩ. ვ.).

## ტფილისი

*** ქუთაისის ოლქის სასამართლოში 26 ივნისს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ამ სასამართლოს საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფის, განსვენებულის სამსონ ბესარიონის ძის თოფურიას სულის მოსახსენებლად.

*** რუსეთის საიმპერატორო მეხილეობის საზოგადოება სთხოვს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების, იზრუნოს, რომ კავკასიის სოფლის მეურნეთ შეწირულება გაიღონ ხმელეთისა და ფლოტის ჯარისათვის. სასურველია შეწირულ იქმნას შემდეგი ბოსტნეულობა: კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ხახვი, ხარდალი, ცერცვი, ლობიო, მუხუდო და ხილეულობა: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ჭერამი, მაჟალო და სხვა. საჭიროა აგრეთვე სოკოც. ყოველი შემოწირულება, რაც უნდა მცირე იყოს, დიდის მადლობით იქმნება მიღებული. სასურველია, რომ ყველა ეს შემოწირულებანი კონსერვებივით შენახულ-მომზადებული გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ. თუ რაიმე მიზეზის გამო ეს არ მოხერხდება, მაშინ შეიძლება მოუმზადებლად, ნედლად გაგზავნაც შემოწირულებანი უნდა გაგზავნილ იქმნას იმ ადგილას, რომელსაც მიწად-მოქმედების დეპარტამენტი უჩვენებს, სადაც ხილეულობას შეამზადებენ, როგორც რიგია, განსაკუთრებულის სპეციალისტების ზედამხედველობით. შემომწირველთა სახელი და გვარები დაიბეჭდება რუსეთის საიმპერატორო მეხილეობის საზოგადოების ჟურნალ „Плодоводство„-ში. ადრესი შემოწირულებათა გასაგზავნად: პეტერბურგში. რუსეთის საიმპერატორო მეხილეობის გამგეობა. ჩერნიშევის ქუჩა, № 16.

*** როგორც ვუწყით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მ. რ. ზავადსკიმ მიანდო ტფილისის მე-3 დედათა გიმნაზიის დირექტორს ბოგოიავლენსკის ამ წლის საზაფხულო არდადეგების დროს მოსწავლეთა ყურის გდება. ბ-ნმა ბოგოიავლენსკიმ მოსწავლეთა მშობლებისა და მათ მოადგილეთა (აპეკუნთა) საყურადღებოდ გამოსცა შემდეგი წესები: 1) მოწაფეებს შეუძლიანთ ისეირნონ შემდეგს ბაღებში: ალექსანდრესა, ბოტანიკურისა, მუშტაიდისა, აგრეთვე პუშკინისა და ქალაქის სხვა სკვერებში, რომელიც ხალხის სასეირნოდაა დანიშნული; 2) ამ ბაღებსა და სკვერებში მოწაფეთ, ქალებსა ან ვაჟებს, შეუძლიანთ დარჩნენ, თუ თან მშობლები ან აპეკუნები არ ახლავან, მხოლოდ საღამოს 9 საათ. 9 საათ. შემდეგ კი მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ დარჩნენ ხსენებულს ადგილებში, თუ მშობლები თან ეყოლებათ. ამასთანავე მშობლებმა თავიანთ ბავშვებს ნება არ უნდა მისცენ ღამის 11 საათს იქით სეირნობისა; 3) სეირნობის დროს მოწაფეთათვის დადგენილს ყოფა-ქცევას ყურადღება უნდა მიექცეს; 4) მოწაფენი მოვალენი არიან პირველ მოთხოვნილებისათანავე აცნობონ თავიანთი სახელი და გვარები იმას, ვისაც მათდა თვალყურის სადევნებლად დანიშნავს სამოსწავლო მთავრობის ინსპექცია; ამასთანავე მოწაფენი უნდა დაემორჩილონ იმათს განკარგულებას. ყველა ამის შესახებ პირისპირ მოსალაპარაკებლად ბ-ნი ბოგოიავლენსკი მთხოვნელთ მიიღებს ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდგან 12 საათამდე, ტფილისის დედათა მე-3 გიმნაზიის სადგომში.

*** ტფილისის საინჟენერო დისტანციამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა შეატყობინოს, ვინ მისცა ნება იმ კერძო კაცთ, რომელნიც შენობებს აშენებენ თოფის წამლის საწყობთან. საინჟენერო დისტანცია ამასთანავე აუწყებს ქალაქის გამგეობას, თუ მან მისცა იმათ იქ სახლის აშენების ნება, განა არ იცოდა, რომ თოფის წამლის საწყობიდგან 20 საჟენის მანძილზედ სახლების აგება აღკრძალულიაო. დასასრულ, დისტანცია სთხოვს ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს,

რომ ეხლავე აილონ ის შენობები, რომელსაც ახლად აშენებენ.

*** როგორც «კავკაზ.»-ი იუწყება, ტფილისის ერთ-ერთ ექიმს შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე ქალ. ტფილისში კერძო ქიმიურ ლაბორატორიის დაარსების შესახებ, სადაც ქიმიურად გამოიკვლევენ სამკურნალო წყლებსა და სხვა და-სხვა ლითონებს.

*** განჯის გუბერნიის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ დაუყონებლივ შეუდგეს მოქმედებას სასანიტარო აღმასრულებელი კომისია, რათა ქალ. განჯაში სპარსეთიდგან არ იქმნას შემოტანილი ხოლერის ეპიდემია. ამ აზრით განჯის გუბერნატორმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას, რომ ეხლავე შეიტანოს დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში ხოლერასთან საბრძოლველად საჭირო თანხა. პირველი სხდომა ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელს კომისიხს ჰქონდა 26 ივნისს, ხოლო სამაზრო-სასანიტარო კომისიის კი—26 ივნისს.

*** გუშინ წინ, 1-ლ ივლისს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში, ნ. ვ. სტრუვეს თავმჯდომარეობით, გაირჩა საქმე ხაჩატურიანცის კანტორის ბუხგალტერის ალექსანდრე თარხანიანის მკვლელისა. ეს მკვლელობა ბათუმში მოჰხდა 1903 წლის 29 ივლისს. საქმის გარჩევაზედ დასასწრებლად ხალხს არ უშვებდნენ. ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე და მკვლელს, მოსე აბრამოვს, გადაუწყვიტა ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და 10 წლით კატორღა. ეს საქმე აპელაციურის წესით განასაჩივრა დამნაშავის დამცველმა, ნაფიცმა ვექილმა ოპოჩინინინმა. ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ა. ფ. მიკულინი. პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** როსტოვის ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ-ნმა კირიაკოვმა დეპეშით მიჰმართა და სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ტფილისში ჯერ ხომ არ ყოფილა შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისაო, რაზედაც ქალაქის გამგეობამ გუშინ-წინ შეუთვალა, რომ ჯერ ტფილისში ამნაირი შემთხვევა არ ყოფილაო.

*** გუშინ, 2 ივლისს, პატარა წყლის საზიდ ქუჩაზედ მცხოვრებმა ლაზარე ვრონსბერგმა განაცხადა პოლიციის მე-3 ნაწილში, რომ 2 ივლისს, დილის $10^1/_2$ საათზედ, მისი ბავშვი, 2 წლის ქალი, თამაშობდა თურმე თავიანთ სახლის ალაყაფის კარებთან; ამ დროს გარედ გამოვიდა მეზობლად მცხოვრებ გამაზოვის საყვარელი, ალექსანდრა კორნეენკოვის ასული, და დაუწყო ვრონსბერგის ბავშვს ცემა. ბავშვის ყვირილზედ გამოვიდა გარედ კორნენკოვის მოხუცი დედა, ევდოკია, 57 წლისა, რომელმაც კრონსბერგის ბავშვს კარგა მოზრდილის ქვით ცხვირპირი ჩაამტვრია და დაასისხლა. ბავშვს სიმძიმე არა მოუვლის-რა, მაგრამ სამუდამოდ დასახიჩრებული კია. კორნეენკოვის სახლში პოლიციელმა გაჩხრეკის დროს იპოვნა მთელი პარკი, დიდრონის ქვებით სავსე. პოლიციამ ამის გამო ოქმი შეადგინა კორნეენკოვებზედ და გამომძიებელს გადასცა.

*** მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები: 1) «საუმაწვილო ამბები», თომა ასათიანისა, გამოცემა ი. იმედაშვილისა, 60 გვ., ფასი ორი შაური და 2) «ჩემი სტვირი და სხვა გასართობი ლექსები ანტონ განჯისკარელისა», 32 გვ., ფასი ორი შაური.

# ჩვენებური ამბები

—

**ქუთაისი.** გასულის წლის მოუსავლობით წელში მოხრილი გლეხ-კაცობა, აღტაცებით ელოდა აბრეშუმის მოსავალს.—ამ მოსავლით იმერელ გლეხს უნდა გაესტუმრებინა: სახელმწიფო ბეგარა, მღვდლის დრამა და ყოველივე ოჯახური მოთხოვნილება. მაგრამ მათდა საუბედუროთ, ლოდინი გაუცრუვდათ, და იმედით მოცული გლეხ-კაცობა უიმედოთ და ჩვეულებრივ უსახსროდ დარჩა.

წელს შედარებით წინა წლებთან აბრეშუმის პარკი უხვად მოვიდა, მაგრამ სამაგიეროთ პარკის ფასი განახევრდა, გამესამედდა და მით უხვმა მოსავალმა ზარალის მეტი არა შესძინათ რა მეაბრეშუმეთ. შარშან ფუთი პარკი საღდებოდა 19—20 მანეთში; წელს-კი პირველ-ხანებში აბრეშუმის პარკი იყიდებოდა 12—13 მანეთად, მაგრამ პარკის უხვად შემოსვლამ ბაზარში ფასი ბოლო ხანებში დასწია, ასე რომ ფუთი პარკი საღდება დღეს ხონის ბაზარში 10—11 მანეთში; ქუთაისში 10—10 მ. 50 კ.; სამტრედიაში 11—12 მანეთში. შეიძლებოდა, პარკი მეტ ფასში გასაღებულიყო და გლეხკაცობას ორიოდე გროში შემატებოდა, რომ „ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას“ წელსაც ჩვეულებრივი კონკურენცია გაეწია კერძო მოვაჭრეებისათვის, მაგრამ წელს უსახსრობის გამო «ამხანაგობამაც» შესწყვიტა თავისი ჩვეულებრივი მოქმედება და სავაჭრო მოედანი დაუთმო პარკის კერძო მოვაჭრეებს!

წელს ამ მოვაჭრეებს ბედმა გაუღიმა, მწარმოებლებს კი გაურისხდა და თავისი ნაოფლარი ჩალის ფასში გაასაღებინა! ვინც ას მანეთს ელოდა, იმან მხოლოდ 40—50 მანეთი აიღო, ვინც 40 მან.,—იმას პირ-იქით 10 მანეთი ვალად დაედო. ბედიც ასეთი უნდა!

ილია ბახტაძე.

—

სადგ. **სამტრედია.** აქ გუშინ წინ რამდენიმე (7-8) ყაჩაღი დაეცა კ—შვილის სახლს. მისვლისათანავე ასტეხეს თოფის სროლა. შევიდნენ სახლში, გასჩხრიკეს ყველაფერი და, საკბილო რომ ვერა ნახეს-რა, ისევ გაუდგნენ არხეინად თავიანთ გზას. ერთი ათისთავი გამოედევნა უკან, მაგრამ ყაჩაღებმა უთხრეს: „თავი ხომ არ მოგძულებია, ჩემო ძმაო, დაიკარგე აქედგან, თავს ნუ შემოგვაკლავ და შენ ცოდვას ნუ დაგვადებო“. ათისთავმაც, რასაკვირველია, თავს უშველა.

აბრეშუმი აქ ბლომად შემოაქვთ, მაგრამ ფასი 10—11 მანეთია და ამიტომ ან სხვაგან მიაქვთ და ან სახლში ბრუნდებიან. ვაი, რომ არც სხვაგან აძლევენ მეტს და საწყალ დედაკაცების ამდენი ხნის ნაჭირ-ნახულევი მუქთად უვარდებათ ხელში ისევ ჩარჩებს.

აქ კვირა პარასკეობით ხშირად შეხვდებით პირ-ახვეულ ქალებს, რომელთაც ქულბაქში სანოვაგე შემოაქვთ გასასყიდლად. რასაკვირველია, პირ-ბადეს იმიტომ იკეთებენ, რომ რცხვენიათ გაყიდვისა.

ბურუს-მეგრელი.

—

**საჯევახო.** 20 ივნის, სადგურ საჯევახოს მახლობლად ვიღაც ბოროტ-მოქმედმა პირმა, ღამის თერთმეტ საათზედ, ცეცხლი გაუჩინა სტეფანე ბიჭიას ძე თარგამაძის სასიმინდეს, რომელიც ვერ გადაარჩინეს და მთლად დაიწვა. სასიმინდე ცარიელი იყო და ღირდა, როგორც ამბობენ, 150 მანეთად. საკვირველია, რა სიამოვნება ნახა ამ ბოროტების მოქმედმა და ან თვითონ რა შეიმატა, რომ ხსენებულ თარგამაძეს ესრეთი ზარალი მისცა!

—

**ხოფილი ბარდნალო** (ლეჩხუმის მაზრა). ბარდნალო პატარა სოფელია, სულ ორმოცი კომლია—თავადი, აზნაური და გლეხობა. სოფელი პატარაა, მაგრამ მცხოვრებთა შორის მძულვარება კი უზარმაზარი: გლეხი აზნაურს გადაჰკიდებია მტრად, აზნაური თავადს, ყველა თავთავისთვის გარბის, ჯავრი არა აქვს, თუნდ ქვეყანა გადაბრუნდეს. თუ ისე შემთხვევით გაგვიჩნდება ვინმე გულ-შემატკივარი, არ იფიქროთ, თანაუგრძნონ, პირ იქით ქვას და ყორეს მიაყრიან.

1903 წ. აქ დააარსეს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, ზოგი მასწავლებელს ემუქრებოდა, ზოგი მოთავეს და ზოგი კი თვით შენობის ამგებს.

ეს სამი წელიწადია, რაც დაიწყეს სკოლის საქმე, სთხოვეს უმაღლეს მთავრობას, შემწეობა აღმოეჩინა და მასწავლებელი თავის ხარჯით დაენიშნა. მართლაც მთავრობამ მიაქცია თხოვნას ჯეროვანი ყურადღება და მასწავლებელი დაუნიშნეს თავისი ხარჯით. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მოგეხსენებათ, მარტო ექიმს არ ძალუძს ავადმყოფის განკურნება, თუ წამალი არ იშოვნა. ჩვენი საქმეც ასეა. ცნობა მიიღეს, მასწავლებელი მოდის, სახლი მზათ იქონიეთო. დიდი ყოყმანის შემდეგ. დანიშნეს სხდომა, აირჩიეს დეპუტატები. გააწერეს ფული ხალხს შეძლების მიხედვით. მაგრამ კაცი კაპიკს არ იძლევა. საწყალ გლეხებს ზოგს ძროხა წაართვეს, ზოგს ხარი ც ამ რიგათ, როგორც იყო, მოაგროვეს ცოტაოდენი ფული სახლის ასაშენებლად, სახლისა და საეზოვე მიწა სამსონ ასათიანმა დაუთმო უფასოდ.

როგორც იქნა, სახლი ჩასაბარებლად მოაწყვეს, მთელმა სოფელმა თავი მოიყარა, აათვალიერ-ჩამოათვალიერეს კედლები, იატაკი ნამეტანი სუსტი გამოდგა, ბუხრებში კვამლი არ ადიოდა, ასტეხეს უსაშველო ყვირილ-ჩივილი.

ამშენებლებისათვის ორასი მანეთი უნდა მიეცათ და ისიც წაართვეს. ჩამოვარდა ხალხში შურის ძიება და მტრობა...

მასწავლებელმა, მეტი ღონე არ იყო, ბავშვები დაითხოვა. აი ასე იწყება და ასე თავდება ჩვენში საზოგადო საქმე.

ბარდნალელი ჩაფრა.

—

სოფ. **მუხური** (ზუგდიდის მაზრა). სოფ. მუხური მდებარეობს ოცდა ხუთმეტ ვერსზედ ზუგდიდიდან. თვით სოფელი ფრიად შემკულია ბუნების სიმშვენიერით. აღმოსავლეთით აკრავს ამ სოფელს «ოციდალეს მთა». შუა სოფელში ჩამოდის მდინარე ხობის წყალი. ხალხი მისდევს მიწის მუშაობას და ვაზის გაშენებას ეხლა დაიწყეს დაბალ ვაზის მოშენებაც. მუხურში ირიცხება ორას კომლამდე მოსახლე. სოფ. მუხური შესდგება სამ საზოგადოებისაგან: თაია, ზუმი და თვით მუხური. შუა გულზე სოფელში გაშენებულია პატარა ეკკლესია, ძვირფასად შემკული, აქ მუდამ გალობს ადგილობრივი სასწავლებლის მოსწავლეთა ხორო, ფრიად სასიამოვნოდ და მწყობრად მღერ. შალვაძის მეოხებით.

ხობის წყალზედ შარშან იდვა ხიდი, მაგრამ წელს წყალმა წაიღო ლანქერის დროს; მთავრობა ეუბნება ხალხს გაკეთებას, ხალხი კი სიღარიბისაგან შევიწროებულია.

ადგილობრივ მღვდლის ესტატე ზენდელიანისა და მასწავლებელთა მეოხებით ამ სოფელს წინ სვლა ემჩნევა. მღვდლის მეცადინეობით არის გამართული აქ ორკლასიანი სასწავლებელი, სადაც არის ზედამხედველად ალ. ცანავა, რომელსაც კარგად აქვს დაყენებული სასწავლებელი, აქვეა საქალებო საეკლესიო სასწავლებელი, სადაც ბავშვები მშვენივრად სწავლობენ ქართულს.

კლინკა.

—

სოფ. **მონასტერი.** (დუშეთის მაზრა). ამ სოფელში მამულის ვიწროობაა, ამიტომ მცხოვრებნი დიდს გაჭირვებაში არიან. წლის მოსავალი თითქმის არავის ჰყოფნის, სხვაგან ყიდულობენ და ცხენით ეზიდებიან, რადგანაც ურმის გზა არ არის. აქ, როგორც მთა ალაგას, ქერის მოსავალი კარგი იცოდა, მაგრამ ეხლა იმანაც იკლო.

მონასტერი ძველად ხილით იყო განთქმული; მაგრამ ტყეები გაიჩეხა, ნიაღვარს, მთიდგან წამოსულს ველარა იმაგრებს რა და ისე ჩამორეცხა აქაურობა, რომ ადამიანის თვალი ქვისა და აყუდებულ კედლების მეტს ვეღარას ნახავს.

აქაური მცხოვრებლები მიდიან სხვაგან სამუშაოდ, რომ ნამუშავრით გაუძღვენენ ოჯახს და სხვა ხარჯებსა. აქაურს ხალხს, ეგრედ წოდებული «ურადი» ღუპავს. «ურადი» ჰქვიან ქორწილის დღესასწაულსა; თითო ოჯახს 200—300 მანეთამდე უჯდება. ამას ოსობა მისდევს. პატრონი არ არის, ხალხს ჩააგონონ, დააჯერონ, რომ მოისპოს ეს დამღუპველი ჩვეულება.

მთის ხალხს უგზოობა გვაწუხებს; სოფლიდან სოფლამდე გასაჭირია მისვლა-მოსვლა. თუმცა ხალხი შრომას და ჯაფას არ ზოგავს, ასწორებს ხევის გზებსა, მაგრამ ნიაღვრები კვლავ აფუჭებს.

სწავლა-განათლებას ჩვენში ნუ მიიკითხავთ. არც ერთი მწიგნობარი კაცი არ მოიპოვება მთელს სოფელში. თუ ვისმე წერილი მოუვა, მღვდელ-მედავითრესთან მიარბევინებენ წასაკითხავად.

ხოსრო გარიშვილი.

# რუსეთი

—

**პეტერბურგი.** (საკუთარ კორესპ.). არ მსურს შევეხო საზოგადო საგნებს, ესე იგი ისეთ საგნებს, რომელნიც ერთგვარად საინტერესოა, როგორც ჩვენთვის, აგრეთვე უცხოელებისთვის. არა, მე აქაურ ქართველების შესახებ მსურს ვთქვა ორიოდე სიტყვა.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს და ადევნებდა რუსეთში მყოფ ქართველ მოსწავლეთა ცხოვრებას, იმას ბევრი სასიამოვნო ხანა ახსოვს და ბევრი არა-სანატრელიც. წარმოვიდგენთ თუ არა ქართველ მოსწავლეთა ცხოვრების სურათს, იმ წამსვე ძალაუნებურად მოგვაგონდება ბეჯითობა, ერთობა და მეცნიერება.

ეს სამი სიტყვა ჩვენთა მოსწავლეთათვის წმიდათა წმიდას უნდა შეადგენდეს.

მე მახსოვს აღმაფრენი სურათი ქართველ სტუდენტების ცხოვრებისა, სურათი შექმნილი მხოლოდ იმათ ანხანაგობა-ერთობის და სწავლა-ბეჯითობის წყალობით. დიაღ. ესეთი დრო ნეტარებას ჰგვრის ყველას და განსაკუთრებით შავი ღრუბლით მოავადებულ ქართველის გულს. იმ ქართველის, რომელიც მართალი მო-

---

# ფელეტონი

—

**ბიბლიოგრაფია**

იერარქია საქართველოს ეკკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შედგენილი მღვდელ პოლიევკტოს კარბელაშვილის მიერ. წიგნი I. თბილისი 1904 წ. გამოცემა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესი, გურია-სამეგ. ეპისკოპოსისა.

ვგონებთ ყველასათვის ცხადია, რომ ყოველი ახალი მოვლენა როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში იმ გარემოებათა მიხედვით უნდა იქნეს განხილული და დაფასებული, რომელთა შორისაც იგი ჩნდება და წარმოებს. მხოლოდ ამ პირობით ხდება შესაძლო ამა თუ იმ მოვლენაზე მიუკერძებელ აზრის შედგენა და სხვა მსგავს მოვლენათა შორის იმ ადგილის ჩვენება, რომელიც მას ჭეშმარიტათ ეკუთვნის. კერძოთ, ყოველ სალიტერატურო ნაწარმოების განხილვის დროს მხედველობაში მისაღები ხდება როგორც ვინაობა ავტორისა, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და მომზადება, აგრეთვე რაოდენობა და ღირსება იმ თხზულებათა, რომელნიც აღნიშნულ ნაწარმოებს წინაურბოდენ და მის შექმნას ხელს უწყობდენ. რა თქმა უნდა, ერთნაირად ვერ მოვთხოვთ მაღალ-განათლებულს პროფესორს, რომელიც თავის საგნის სპეციალი მცოდნეა და დროც, თანამდებობაც და ჯამაგირიც სწორედ ამ საგნის საკვლევად და შესასწავლად აქვს მიჩენილი, და უბრალო პროვინციის მასწავლებელს, რომელსაც ხშირად განათლებაც ხელს არ უწყობს, ხოლო საკუთარი პროფესია და ნივთიერი ხელმოკლეობა ნებას არ აძლევს სალიტერატურო შრომას საკმაო დრო და ენერგია მოახმაროს. რა თქმა უნდა, სულ სხვა ფასი აქვს ნაწარმოებს, რომლის შექმნასაც მრავალი სპეციალური სამეცნიერო ნაკვლევი უწყობდა ხელს, და სულ სხვა ფასი აქვს იმ თხზულებას, რომელსაც ერთი შესაფერი ნაწარმოებიც კი არ ჰქონებია წინ წამძღვანებული.

უკეთუ მამა პ. კარბელაშვილის წიგნს ამ თვალით შევხედავთ, მისი ჯეროვანი დაფასება მეტად ადვილი იქნება ყოველ მკითხველისათვის. თვისის თანამდებობის მიხედვით, მამა კარბელაშვილი ჩვენი საზოგადოების იმ წოდებას ეკუთვნის, რომელსაც დღეს ისტორიულის ცხოვრების მსვლელობამ ძველი დიდებული მნიშვნელობა ხელიდან გამოაცალა და ენერგია უმთავრესად კერძო წოდებრივ და საკუთარ საოჯახო კეთილდღეობის მოპოებისა და უზრუნველყოფისაკენ მიმართა. მაშასადამე, უკეთუ ამ წოდებიდან დღეს თითო-ოროლა მაინც გამოდის და ჩვენს ღარიბს მწერლობას შეძლების დაგვარად სამსახურს უწევს,—ამ გვარს პირს მკითხველის მხრივ სხვა რა ეკუთვნის, თუ არა მადლობა და თანაგრძნობა.

მადლობის ღირსია მამა პ. კარბელაშვილი, რომელსაც სამშობლო ეკკლესიის ისტორიისათვის შრომა არ დაზარებია და მისი უმაღლესი იერარქიის (კათალიკოსების) წარსულის ცხოვრების გასარკვევად მრავალი საყურადღებო მასალა შემოუკრებია და, შეძლებისადაგვარად, ქრონოლოგიურ რიგზე დაუწყვია. წიგნი სუფთათაა გამოცემული, ჩვენის მხცოვანის მღვდელმთავრის, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრის საფასით, და 212 გვერდს შეიცავს. იგი განიყოფება შვიდ თავად (წიგნში შეცდომით მარტო ხუთი თავია რომაელ ციფრებით აღნიშნული), რომელთაგან ყველაზე უფრო საყურადღებო მე-V, მე-VI და მე-VII თავებია. აქ აღნუსხულია როგორც საქართველოს მღვდელმთავარნი კათალიკოზობის დაარსებამდე (თავ. V), აგრეთვე კათალიკოსნი ქართლისა (თავ. VI) და იმერეთისა (თავ. VII), უკანასკნელის სრულიად საქართველოს კათალიკოზის ანტონი II-ის გარდაცვალებამდე († 1827 წ.). ზოგიერთ კათალიკოსებზე საკმაოდ ვრცელი ცნობებია შეკრებილი (ნახ. გვ. 48—53; 80—88; 131—138; 140—157 და სხვ.) ხრა ნაკლებ საყურადღებოა I, II და III თავებიც (გვ. 3—12), სადაც მოკლედ მოთხრობილია ქრისტიანობის გავრცელება მცირე აზიაში და საქართველოში პირველ საუკუნიდან დაწყებული მე-IV საუკუნემდე. აქ, სხვათა შორის, გადაჭრით გამოთქმულია, რომ წმ. ნინო ჩამომავლობით „ერთი კაბადოკიელი, ქართველთა დედათაგანი“ იყოო. (გვ. 10). მართალია, ეს აზრი დღემდის არსებობდა ჩვენთა მკვლევართა შორის, მაგრამ ასე გადაჭრით იგი აქამდის არავის გამოუთქვამს, სჩანს, ის, რაც დღემდე მხოლოდ ჰიპოტეზად არსებობდა, პატივცემული ავტორისათვის შეურყეველ წრმენად გადაქცეულა. თუმცა სიმართლე მოითხოვს შევნიშნოთ, რომ ის ისტორიული მასალა, რომელიც წმ. ნინოს ცხოვრების შესახებ მოგვეპოება, საკმაო არაა წმ. ნინოს ქართველობა შეურყეველ ჭეშმარიტებად აღვიაროთ; პირიქით, ეს მასალა თანაბრად ხელს უწყობს როგორც წმ. ნინოს ქართველობის ჰიპოტეზას, ისე მის ბერძნობის და, უკანასკნელ, მის სომხობის ჰიპოტეზასაც. მაგალითად, დიდი ხანი არაა, რაც იტალიელმა მკვლევარმა ავრელიო პალმიერიმ, იმ საბუთების ძალით, რომ ნინოს «ცხოვრების» შატბერდისეულ ვარიანტში და სომხურ წყაროებში ნინო რიფსიმიანთა მეგობრადაა მოხსენებული, შესაძლოდ დაინახა წმ. ნინო სომხის ქალად ეღიარებინა (ნახ. A. Palmieri, La chiesa Georgiana e le sui origini, Roma. 1901 წ. გვერდ. 48). მართალია, ავრელიო პალმიერის აზრი ჩვენ შესაწყნარებლად არ მიგვაჩნია, რადგან ის ადგილნი წმ. ნინოს «ცხოვრებისა», რომელზედაც ეს აზრი დამყარებულია, დღეს კრიტიკის მიერ ფრიად ყალბ ისტორიულ ცნობადაა აღიარებული. მაგრამ ისიც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, თუ გვსურს წმ. ნინოს ჩამომავლობის შესახებ საკითხს რაიმე გარკვეული სახე მივცეთ და მისი ახსნა სასურველ ნიადაგზედ დავაყენოთ, საჭიროა ყველა ცნობა ამ საგნის შესახებ შესაფერ კრიტიკაში გავატაროთ და გამოსადეგ ისტორიულ მასალად მხოლოდ ის ცნობანი მივიღოთ, რომელნიც მსოფლიო ისტორიის ცნობებს უფრო მეტად ეთანხმებიან, და თავისთავადაც შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავენ. ეს ითქმის როგორც წმ. ნინოს ჩამომავლობის გარკვევის შესახებ, აგრეთვე ყველა სხვა ჩვენის ისტორიულ წყაროების ცნობათა შესახებაც. ერთის სიტყვით, ყოველ ნაბიჯზედ კრიტიკა, ფრთხილი და თანაც მიუკერძოებელი კრიტიკაა საჭირო. და აი, სწორედ ამგვარ კრიტიკის სიმცირეა ერთად ერთი უმთავრესი ნაკლი მამა პ. კარბელაშვილის ნაწარმოებისა. ამ წიგნში ის აზრები, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ უბრალო ჰიპოტეზაა, სრულის დაბეჯითებით არი წარმოთქმული და იმავე დროს თითქმის არც ერთხელ არაა ნათქვამი, რომ ეს აზრი მხოლოდ თვით ავტორის ან რამდენისამე პირის კერძო აზრია და არა მტკიცე, კრიტიკულად დადგენილი, საისტორიო ცნობებზედ დამყარებული დასკვნაო.

ავტორი, მაგალითად, ქართველთ პირველ ეპისკოპოზს იოანეს «შთამომავლობით კაბადოკიელ ქართველად» ჰხადის, აგრედვე პირველ კათოლიკოზს პეტრესაც (ნახ. გვ. 11 და 33); მაგრამ ამ აზრის დამამტკიცებელ საბუთს ერთსაც არ იძლევა.

ესევე უნდა ითქვას კათალიკოზთა და მღვდელ-მთავართა ცხოვრების ქრონოლოგიის შესახვბაც. თარიღები ყველა მღვდელ-მთავრებს და კათალიკოზებს უზისთ, მაგრამ დაწვრილებით კი არსად არაა ნაჩვენები, თუ სახელდობრ რათ მაინც და მაინც ესა და ეს წელი უნდა იქმნას დადებული ამა თუ იმ მღვდელ-მთავრის სამსახურის დასაწყისის გინა დასასრულის წლად და არა სხვა რომელიმე. ერთის სიტყვით, გასაზოგადოებით რომ ვთქვათ, მამა პ. კარბელაშვი-

გახსენოთ—დაიღალა სიავის გაგონებით. ტყვილა არ შეუქმნია შორე წარსულში ქართველის ნიჭს შემდეგი აფორიზმი:

«კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია...

თითქოს ჩვენი სული და გული შეეჩვია გარს აღმოცენებულ ეკალს და ნაღვლით სავსე გაჭირვებით ცდილობს ვარდის შემკობას.

ქართველმა მოსწავლემ ძალიან კარგად უწყის ეს გარემოება. იმათმა კრებამ უნდა შეიმუშაოს ხოლმე ეკლის აღმოცენების ისტორია და საშუალება ვარდათ ნარ-ეკლის გადაქცევისა. ეს არის დიადი მისწრაფება ახალგაზდა თაობისა ყველგან და ყოველთვის.

ამ სურვილის მიღწევა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელი და უმთავრესი პირობა დაცულია—ამხანაგობა-ერთობა და ურიერთის პატივისცემა. სწავლა-მეცნიერებას, რასაკვირველია. დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ჟამად ამის შესახებ არას ვიტყვი.

რაღაც საუბედუროდ ყველა უნივერსიტეტის ქალაქებში, სადაც ქართველნი სწავლობენ, ამათ შორის (ქართველ მოსწავლეთა შორის), უთუოდ დანაწილება უნდა მოხდეს ხოლმე, დანაწილება გამოწვეული რაღაც უბრალო მიზეზით. ამ გვარად ათიოდე მოსწავლენი შეადგენენ ხან დის ხან ორ სამ ამხანაგობას.

ეს მოვლენა ყოველთვის გვაღონებდა. დღეს-კი უფრო დაგვწვა გული, რადგან ასეთი გასაკვირვი და უადგილო დანაწილება მომხდარა აქ, სადაც ყველაზე უფრო მეტი მოსწავლეა. გასამართლებელ მიზეზს მე ვერ ვხედავ და ვერც ვინ გვაჩვენებს.

განა ეს მოვლენა უნდა ამოყოფდეს თავს იქ, სადაც მეცნიერება უნდა შეითვისონ, ერთობას, ურთიერთის პატივის ცამას და სიყვარულს უნდა შეეჩვიონ?!..

ასეთი ამბები ჩვენი დამღუპველია. ასეთი ამბები შეგვაჩვევენ ისეთ არ, სანატრელ მოღვაწეობას, რომელმაც არა მცირე ზარალი მისცა ქუთაისის და ტფილისის გუბერნიის მკვიდრთ.

ნუ აქვს, ჩვენო ახალგაზდობავ, ასეთ მოვლენის ადგილი, შორს გადატყორცნეთ იგი და საერთო, ერთად შეკავშირებულ ძალით მოემზადენით ზნეობრივ-გონებრივად მომავალ გულ-წრფელ მოღვაწეობისთვის, რაიც გვჭირია, გვჭირია.

ურთერთს ძმურად მივსცეთ ხელი,
შემოვძახოთ ოროველა...
თუ ერთმანეთს არ ვღალატობთ,
ჩვენ რას გვიზამს სხვისი წყევლა!

მალაქია ბოლქვაძე.

## თეატრი და ხელოვნება

**დ. ახალ-სენაკი.** (სამეგრელო). კარგა ხანია ჩამოვიდნენ აქ ქუთაისიდან სცენის მოყვარულნი და გამართეს კლუბის დარბაზში ქართული წარმოდგენა, ბოლოს იყო ცეკვა. ითამაშეს ცაგარლის სამ-მოქმედებიანი კომედია «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ». ვოდევილი «მოჩვენება» სხვა და სხვა მიზეზების გამო არ ითამაშეს და მის მაგიერ დადგეს ცაგარლისავე კომედია «მშვენიერ ელენეს მაძიებელნი». მოყვარულთა შორის მონაწილეობას იღებდა ალ. ჯაყელი, რომელიც დიდი ხანია შინაურ წარმოდგენებს მართავს და მუყაითათ ეკიდება საქმეს. კომედიამ «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ» კარგად ჩაიარა. კარგი იყო მეტადრე პირველი მოქმედების ის ადგილი, როდესაც შემოდიან მთვრალები გიჟუა (ალ. ჯაყელი), ავეტიქა (მუსურიძე), საქუა, ფიჩხულა, სოსანა და სხვ. თამაშის დროს უკრავდა ზურნა, რომელიც თან ჩამოიყვანეს. მეტათ სასიამოვნო იყო, რომ ყველამ მოხდენით ითამაშეს ლეკური, უზუნდარა და სხვა; მეტადრე საზოგადოების ყურადღება მიიქცია ერთმა ყმაწვილმა, რომელსაც «ბიზ»-ის ძახილით და ტაშის კვრით რამდენჯერმე გაამეორებიეს ცეკვა. კარგათ შეასრულა ქ-ნმა სულიკოვმა კატინას როლი; ბ-მა ჯაყელმა გიჟუას როლში აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. არა უშავდა-რა მუსსურიძეს ავეტიქას როლში. მეორე მოქმედებაში სუსტი იყო დავითის როლის ამსრულებელი ალ. ბახტურიძე, ამისგან უფრო მეტს მოველოდით, რადგანაც ის დრამატიულ დასში თამაშობს: როლი არ იცოდა, თავის «ფრაზებს» ისვრიდა და სხვას ხელს უშლიდა. დანარჩენები ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

მეორე კომედიამ სუსტათ ჩაიარა, რადგანაც ორი დღის მომზადების შემდეგ ითამაშეს და პირველათ სცენაზე გამოსული მოყვარულნი თამაშობდნენ.

დიდი მადლობას ღირსია ვლ. შავარდნაძე, რომელმაც ყოველი მხრით დახმარება გაუწია ახალგაზდებს. მოსაწონია აგრედვე ბ-ნი ჯაყელის საქციელიც, დადის ყველა დაბა-სოფლებში, სადაც ჩვენი დრამატიული დასი ვერ უწევს; დაჰყავს მოყვარულნი და ხალხს უმართავს წარმოდგენებსა.

როგორც შევიტყე, ბ-ნ ბაზრის უფროსს აზრად აქვს, საკუთარი შენობა აავოს თეატრისათვის.

ამას წინად აქ «კონცერტი»-ც გამართეს, ხალხი კმაყოფილი წავიდა.

ს. შელაგიაშვილი.

—

**ს. მუხური** (ზუგდიდის მაზრა). აქაურ მასწავლებელ ქალის მეცადინეობით, ადგილობრივ საქალებო სასწავლებელში გაიმართა 30 მაისს ქართული წარმოდგენა. მონაწილეობდნენ აქაური მასწავლებლები, კაცნი და ქალნი. ითამაშენს „გაცრუებული იმედები“, აზიანის ორ მოქმედებიანი კომედია და დ. აწყურელის „ორი მშიერი“. «გაცრუებულ იმედებში» ძლიერ კარგათ ითამაშა სტეფანეს როლი ბ. გურულმა; კარგნი იყვენ ა. გოგოლიშვილი (გაბო), მელქ. ბალავაძე (გიგო), ალ. ცანავა (ვანო), გ. პიტავა და სხვები. ქალები, ერთი ორის მეტი, სუსტობდენ, კარგი იყო პ. ლორიას ასული (ნინო) და კეკელა (ე. ჩიხლაძის ასული). ლიზას ამსრულებელი ძლიერ სუსტობდაო, მოთამაშეთ ხელთ უწყობდა კარგად მოწყობილი სცენა. «ორ მშიერში» ბევრი აცინა საზოგადოება ბ. გურულმა (ფრანსუა). ბოლოს გაიმართა ცეკვა-თამაში, ლექსების კითხვა და სიმღერა. შესანიშნავათ ჰყავდა მომზადებული მოწაფე ქალები და ვაჟები ბ. მელქ. ბალავაძეს სიმღერისათვის, თვით ბ—ძეს დიდი ნიჭი აქვს სიმღერის. იმღერეს «სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ», «ყარანაი ყანაში», «ოი, გოგონა» და სხვები.

დიდის მადლობის ღირსნი არიან: ესტატე ბენდელიანი, პელაგია ლორიას ასული, ალ. ცანავა, მელიქ. ბალავაძე და სხვები, ვინც მონაწილეობდა. შემოსავალი გადადებული იყო საქალებო სკოლის სასარგებლოთ. ხალხი ბლომათ დაესწრო, და კმაყოფილი დაბრუნდნენ.

კარგი იქნება, კვლავაც რომ გამართავდენ წარმოდგენას ჩვენ სოფელში და ამ ნაირათ ჩაუნერგავდენ ოდიშელებს სიყვარულს სამშობლო სცენისა და ენისადმი.

«კლინკა».

—

**ჭიათურა.** 26-სს ივნისს, აქაურს სათეატრო დარბაზში, ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით და დ. ჩარკვიანის გამგეობით, გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს «სამშობლო», დრ. 5 მოქ. ერისთავისა. ამ წარმოდგენამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისე კარგად ვერ ჩაიარა, სამწუხაროდ, და მით მოლოდინი გაგვიცრუა, თუმცა კარგად ასრულებდნენ თავ-თავიანთ როლს ბ. კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი და ქ-ნი ივანიძე, თუმცა ბილეთების ფასები შედარებით ძვირფასებიან წარმოდგენებთან დაკლებული იყო, მაინც ამ წარმოდგენას საზოგადოება იმდენი არ დასწრებია, რამდენიც მოსალოდნელი იყო. ამავე დროს სახაიები და სამიკიტნოები სავსე იყო ხალხით. სამწუხაროა და დიდად სამწუხაროა, რომ აქ, გარდა თეატრისა, თითქმის არავითარი გონების გასართობი არ მოგვეპოვება და ამასაც ისე გაურბის აქაური ახალ გაზრდობა, როგორც ურია ღორის ხორცს.

მეორე დღეს, 27 ივნისს, ამათვე (გარდა კ. ყიფიანისა) ითამაშეს «ქართველი დედა». ამ წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა და განსაკუთრებით საუცხოვო იყო უკანასკნელი მოქმედება. კარგი იყო თავიდგან ბოლომდის ქ-ნი ივანიძე თავის როლში. კარგად შეასრულა უკანასკნელ მოქმედებაში ბ-ნმა ბოთლიევმაც თავისი როლი. დანარჩენთაც არა უშავდათრა. ეს წარმოდგენა იაფ ფასიანი იყო და საზოგადოებაც მეტი დაესწრო.

დადო გუბელი.

—

## წერილი
### რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ როგორც ჩვენის ისე მთელის ლიხაურის საზოგადოების მხრივაც ქალაქ ოზურგეთის ვაჭრებს იესე მაქსიმელის-ძე ურუშაძეს და იოსებ ალექსანდრეს-ძე ხომერიკს, რომელთაგან პირველმა შემოსწირა ლიხაურის სამეურნეო განყოფილების შენობის ასაგებად 5 მანეთი, ხოლო მეორე 1 მანეთი.

ლიხაურის საზოგადოების
მამასახლისი იჟანე გაშაშაძე.

ორკლასიანი სკოლი ს ზედამხედველი ბარნაბა შენიბეძე.

—

## დეპეშა
(რუსეთის ცნობათა სააგენტოსაგან)

1 ივლისი.

**პეტერბურგი.** 2 ივლისს ფინანსთა მინისტრის თანადასწრებითა საძირკველი ჩაჰყარეს ტეხნიკურ სკოლის შენობასა, რომელიც ხელმწიფე მემკვიდრის მფარველობის ქვეშ არის. ეს სახლი შენდება სახელმწიფო ქაღალდების მოსამზადებელ ექსპედიციასთან.

**ტულონი.** რუსის გემის «არიოლის» აფიცრები დღეს დილით დაესწრნენ ჯარების აღლუმსა.

**კლარენსი.** პრეზიდენტად ნამყოფმა კრიუგერმა, რომელიც მოვიდა აქ 11 მაისს, 26 ივნისს შეუძლებლობა იგრძნო. 28 ივნისს ექიმებმა დაამოწმეს, რომ ფილტვების ანთება აქვსო. ავადმყოფი უგრძნობლად იყო. კრიუგერმა სურვილი განაცხადა, დამასაფლავეთ ტრანსვაალში ცოლის გვერდითო.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგ.»). როგორც ხმაა, იაპონელებს ინკოუ აუღიათ, ისე რომ წინააღმდეგობა არა ვის გაუწევია.

**ჩიფუ.** («რეიტერის სააგ.»). როგორც კერძოდ ნიუ-ჩჟუანიდან იტყობინებიან, ომი მოუხდათ გაიჯოუსა და დაშიჩაოს შუა.

**ლიაოიანი.** ჩვენი სმოწინავე რაზმების აფიცრებს ძალიან სურთ ჰქონდეთ რუსული ჟურნალ-გაზეთები. ყველა რუსულ გაზეთების რედაქციებს სთხოვენ უფასოდ გაუგზავნონ დარჩენილი ნომრები «მანჯურიის ლაშქრის მოამბის» რედაქციას, რომელიც თავ-თავის ალაგას გაუგზავნის აფიცრებს და ჯარის კაცებს.

**ზლატოუსტი.** ურალი ზლატოუსტს მისვლით გაბედნიერა ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე მემკვიდრემ. 10 საათსა და 15 წუთს მოვიდა საიმპერატორო მატარებელი. ხელმწიფე იმპერატორი გამოვიდა ვაგონიდან ხელმწიფე მემკვიდრით და ამალით, მოისმინა სალამი და მიიღო პურ-მარილი და დეპუტაციები, მოწყალედ მადლობდა ყველას, ჩაჯდა ეტლში და წავიდა ჯარების სანახავად. მეფემ თვის წინ მარშით გაატარა პოლკები, მერე ხატებით გზაც დაულოცა.

**უფა** 9 საათს საღამოთი ზლატოუსტიდან ხელმწიფე იმპერატორმა ხელმწიფე მემკვიდრით უფაზე გამოიარა. ხალხი დაუხვდა და გაბედნიერდა ხელმწიფის ხილვითა. ხელმწიფე იმპერატორი ვაგონის ფანჯარასთან იდგა და ხალხს თავის დაკვრით მადლობას უცხადებდა.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობები). დედეაგართან დინამიტის აფეთქების გამო საზოგადო დრტვინვაა. სარაფოვი მაკედონიაში არ წასულა, არც სოფიაშია.—მეამბოხეთა და ოსმალთა ჯარების შეტაკების დროს 33 სახლი დაანგრიეს. ბაშიბუზუკებმა 500 ათასი ფრანკის საქონელი დაიტაცეს. ისინი ძარცვავდენ ბერძენთა ვაჭრების სახლებსა. პატრიარქმა გადასწყვიტა პროტესტი განაცხადოს.—სამოქალაქო აგენტებმა აღმოაჩინეს, რომ ოსმალეთის მოხელეებს 600 სახლი უნდა აეშენებინათ სოფლებში იმის მაგივრად ფარდულები აუშენებიათ. მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა უსავანოდ დარჩა.

**ვენა.** «ფრენდემბლატი» ამბობს, სამხრეთ მაკედონიიდან ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო ამბები მოდისო. ეჭვს გარეშეა, რომ მაკედონელნი მშვიდობის გზას ადგიან. იმათ ასაღელვებლად აგიტაციაა საჭირო, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აგატაცია ვერას გახდება. საჭიროა, რომ პორტამ არ დააბრკოლოს რეფორმები.

**სტამბოლი.** გუშენჯენთან, სალონიკის ვილაიეტში შეტაკების დროს, 19 ივნისს 30 სახლი დასწვეს და გაძარცვეს; 110 ოჯახი უბინაოდ დარჩა. მთავარმა ინსპეკტორმა ხილმი-ფაშამ შეიტყო ეს ამბავი სამოქალაქო აგენტებისაგან სალონიკის ვალი ცდილობდა ეს საქმე ჩაეფუჩეჩებინა. კაიმაკამი იენიჯისა ვარდარი გადააყენეს და სამართალში მისცეს. ოფიციალური მოხსენება კაიმაკამისა მართალი არ არის. ზარალი უფრო ბერძნებს მოუვიდათ.

2 ივლისი.

**ზიანგცზე** (რეიტ. სააგ.). პოლკოვნიკმა იონგხებანდმა თიბეთის ხალხს პროკლამაციით მიმართა, რომელშიაც აღნიშნა, ინგლისი იმ განზრახვით მიდის ლხასს, რომ კმაყოფილება მიიღოს იმ უკმეხ საქციელისათვის, როლითაც ინგლისის წარმომადგენლებს მოეპყრნენ თიბეთის მოხელენი. ბოლოს აღნიშნავს, რომ თიბეთელთაგან თვითეული თავდასხმა ინგლისის ჯარებზედ სასტიკად იქმნება დასჯილიო.

**ჩიფუ.** (რეიტ. სააგ.). ინგლისის გემი შეიპყრეს იაპონელებმა ჩიფუდან ჩრდილოეთად, რადგანაც კონტრაბანდი მიჰქონდა.

**სამარა.** 1 ივლისს, 10 საათსა და 15 წუთზედ ხელმწიფე იმპერატორი მემკვიდრით მივიდა სადგურ სამარას. შორეულ-აღმოსავლეთს წასასვლელი ჯარები ვაგზლის მოედანზედ დაჰხვდა. როცა ჯარები გასინჯა, მისმა უდიდებულესობამ აკურთხა ხატებით აფიცრები და ჯარის კაცები. ჯარს რომ გამოეთხოვა, ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდა ოლგის სანთოების დათა სავანეში, სადაც თავმჯდომარემ, გუბერნატორის მეუღლემ ხელმწიფეს პურ-მარილი მიართვა, ხოლო ტოლსტოისამ—ყვავილების თაიგული. 2 საათსა და 20 წამს სამარიდამ წავიდა მეფის მატარებელი.

**სტამბოლი.** პორტამ წერილობით უპასუხა საჩივარზე სომხეთა პატრიარქს ორმანიანს, რომ მუშსა და სასუნში მომხდარ ამბების პასუხიგება ედებათ ბრალად თვით სომხებსაო. პორტა ბრალსა სდებს, ყველა ბოროტ მოქმედება იმათი მიზეზით ივოვო.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ სახაროვისა უმთავრესს შტაბს 30 ივნისით: «20 ივნისს სამხრეთისაკენ ცვლილება არ ყოფილა. რკინის გზის მხარეზე მტრის მზვერავები ჩნდებოდენ, მაგრამ ჩვენის მზვერავების დანახვაზე უკანვე ბრუნდებოდენ. პოდესაულის გორბუნოვის მზვერავებმა აღმოაჩინეს ტავალაგიდან ლანციჩანამდე იაპონიის მზვერავები. პინზაი, სანგოიში და ტავალაგა უჭირავს სამს როტას. ნანტახეს შესართავში იაპონიის ორი გემი უნახავთ, საიდანაც, ჩინელების თქმით, სურსათი გადმოაქვთ. 30 ივნისს ღამემ მშვიდობიანად გაიარა. დილით მდინარე ცინსახეს ხეობაში სროლა ისმოდა. დილით 30 ივნისს სიუან-დაშიჩაოსაკენ წამოვიდენ იაპონელნი. მოწინავე რაზმებს სროლა მოუხდათ. დილის ცხრა საათიდან არტილერიამ ასტეხა სროლა, რომელმაც დაიჭირა გადასავალი მუგუისთან. 12 საათსა და 45 წუთზე იაპონელებმა მოაღწიეს ვეიცზაუმდე და გაშალეს მოწინავე ჯარი კუტიცის, მაჟუგაისა და კომიგოუს წინააღმდეგ. ესროდნენ ზარბაზნებს, ხოლო პირველ საათზე დღისით იაპონელთა როტამ აიღო კაშიგოუ. ამ დროს ტაუზაის სამხრეთ-დასავლეთიდან, სიმაღლეებიდან მტერმა დაუწყო სროლა ჩვენს სადგომსა. 29 ივნისს გათენებისას სამი ყაზახი გადავიდა მუგას გადასავალს იქითა და აღმოაჩინა 6 მთის ბატარეის ზარბაზანი და 11 როტა ქვეითა ჯარისა და წინ ცხენოსანი ჯარი. სინგოუდან აღმოსავლეთით ჩვენები შეხვდნენ ორ როტას მტრისას. ერთი ყაზახი დასჭრეს, მეორე კი აღარ დაბრუნებულა. იაპონელნი თავს იყრიან გზაზე, რომელიც სიახოტანიდან მიდის, 18 ვერსზე ტანჩიოდან. 30 ივლისს დილიდან კუტიაძის მხარეს ზარბაზნის სროლა ისმოდა. 29 ივნისს ჩვენმა რაზმმა აღმოაჩინა, რომ მტერი ძალიან არის გამაგრებული დალინისაკენ, უჭირავთ პოზიციები სიაოგუშანთან და დიდ ჯარს აგროვებენ სუნტოძთან და ლონის გადასავლის წინ. ჩვენს მზვერავებს შემოერტყა გარს იაპონიის როტა, მაგრამ გაარღვიეს და გავიდნენ, მოკვდა ერთი მსროლელი, დაიჭრა სამი. ასის თავმა გოროხოვმა სინგოუს მიდამოებში აღმოაჩინა მტრის დიდი რაზმი. პხანლინის უღელტეხილთან ცვლილება არ არის. შენიშნეს, რომ მზვერავების დროს იაპონელნი ჩინურ ტანისამოსს იცვამენ, განიერს ჩინურს შლიაპას იხურავენ. ლიაოიანის აღმოსავლეთად სიწყნარეა. იაპონიის მოწინავე რაზმი არის სოფელ ტანტესთან. 30 ივნისს დილით ჩვენ და იაპონელ მზვერავებს სროლა შეხვდათ, ტხავუანიდან ხუთ ვერსზე. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია; იაპონელებს მოუკვდათ და დაეჭრათ 10-მდე კაცი, იმათგან ერთი აფიცერი და ერთი ჯარის კაცი ტყვედ ჩაგვივარდა, მსროლელებმა წამოიღეს იარაღი და ბარგი იაპონელთა. საიმძიდან

---

ლის წიგნში ჩვენი პირველ-წყაროების ისტორიულ ცნობათადმი ურყეველი რწმენა სჭარბობს მათს კრიტიკულად შესწავლას და გარჩევას, რისგამოც ავტორის აზრი ზოგიერთ შემთხვევაში ძლიერ გაურკვეველია. მაგალითად, საქართველოს ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოებას ავტორი ვახტანგ გორგასლანსაც მიაწერს (მე-V საუკუნ.), გვარამ კურაპალატსა და ადარნასესაც (VII საუკ.) და მე-VIII საუკუნეში არაბების ბატონობის დროსაც (ნახ. გვ. 33, 40 და 52).

უცხო მწერალთა შორის საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ პირველად ანტიოქელი მწერლები ამბობენ და ამ ფაქტს თეოფილაქტე ანტიოქელის დროს (745—751 წ.) მიაწერენ, როცა საქართველოში იოანე და ჯუანშერი მთავრობდენ («ქრონიკები» I, გვ. 75—76. Прав. Палест. Сбор. вып. 16, стр. 46—49). «ქართლის ცხოვრების» შემკრებელს კი ეს ცნობა შეცდომით, როგორც ეს ამ ათის წლის წინად მამა კ. ცინცაძემ საფუძვლიანად დაამტკიცდა (ნახ. მისი „Автокефалія церкви Грузинской“, გაზეთი «Пастырь» 1894 წლისა), ადარნასეს მეფობაში ჩაუკრეგბია. *) ასე რომ ვინც დღეს ამ ადგილს უკრიტიკოთ მიიღებს, რა თქმა უნდა, შეცდომა მოუვა. ამისგამო არ შეგვიძლია მწუხარებით არ შევნიშნოთ, რომ მამა პ. კარბელაშვილს აღნიშნულ საკითხის გარკვევის დროს მამა კ. ცინცაძის მშვენიერი გამოკვლევა მხედველობაში არ ჰქონია მიღებული...

მიუხედავად ზემო-დასახელებულის ნაკლისა, მამა პ. კარბელაშვილის თხზულება მაინც თვისს მნიშვნელობას არ ჰკარგავს. აქ საკმაო სისრულით შემოკრებილია ყველა ღირს შესანიშნავი ცნობები, რომელთაგან ზოგნი დღემდის მხოლოდ მტვრისა და არქივის კუთვნილებას შეადგენდნენ. ყოველივე ეს ქრონოლოგიურად დალაგებულია და მკითხველს საკმაოდ სრულს წარმოდგენას აძლევს არა მარტო ჩვენის ძველის იერარქიის შესახებ, არამედ რამოდენადმე ჩვენის წარსული საეკლესიო ცხოვრების შესახებაც. ამავე დროს წიგნი მდაბიურის ენითაა დაწერილი და ადვილად იკითხება. ასე რომ, არ ვფიქრობთ ეს წიგნი ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, განსაკუთრებით სამღვდელოებამ, სიამოვნებით არ წაიკითხოს. მეტსაც ვიტყვით: საჭიროა, ამ გვარი წიგნები ყოველ სასულიერო ოჯახის კუთვნილებას შეადგენდეს; ამას გარდა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მთელს ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში ეს შრომა პირველი ცდა და ერთად ერთი ნაწარმოებია, რომელიც კერძოდ ჩვენს უუმაღლესს იერარქიას შეეხება. მართალია, აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოზთა შესახებ პატარ-პატარა წერილები მამა პ. კარბელაშვილზე უწინ ბროსესა და ბ-ნ თ. ჟორდანიას ეკუთვნის, მაგრამ ესვე არ ითქმის მცხეთის კათალიკოზების შესახებაც. ამ უკანასკნელთა ცხოვრებას და მოღვაწეობას ასე ვრცლად პირველად მამა პ. კარბელაშვილი შეეხო და, უნდა ვთქვათ, იმდენათ საინტერესო მასალა შემოჰკრიბა თავის თხზულებაში, რომ არ ვფიქრობთ ამ წიგნმა სპეციალისტს მკვლევარსაც შესაფერი სამსახური არ გაუწიოს.

ს. გორგაძე.

*) „ქ.-ცხ.“ ნაწ. I, გვ 240—242 (ზ. ჭიჭინაძის გამოცემით).

ჩრდილოეთად წასული მტრის ჯარი მიდის ცზიჩანა და სიაოსირიდან და 29 ივნისს ამ გზებზე ეჭირათ ფინშულინის და სიგოულინის უღელტეხილები საიმძიდან 20 ვერსზე.

2 ივლისი

**მუკდენი.** 1 ივლისს (საკუთ. კორესპ.) როგორც ცნობა მოვიდა, პორტ-არტურთან 20 და 21 ივნისს ჩვენმა ჯარებმა მარჯვენა ფრთაზედ ოტება დაუწყეს მტერს, დააწევინეს უკან იაპონელთა მოწინავეთ, დაიჭირეს აღმოსავლეთი, ნაპირი ლუნზანტანის დავაკებისა და 23 ივნისს მარჯვე ბრძოლით დაიჭირეს მაღლობი. ჩვენი ზარალი მცირეა. იაპონელებს-კი, ჩინელთა ცნობით, ორი ათასამდე კაცი დააკლდათ მოკლული და დაჭრილი. შეიძლება ითქვას, რომ, რაც ხანი იაპონელებს ალყა აქვთ შემორტყმული, დიდი არა გაურიგებიათ-რა. ჩვენი ჯარი ალყა-შემორტყმულ მიდამოებში ყოჩაღად არის.

**ტოკიო.** იელოდან დეპეშა მისულა ერთს იაპონურს გაზეთს, რომ ვითომ 29 ივნისს დილით სამი თუ ოთხი დიდი გემი გამოჩნდაო. კიდევ დაუნახავთ ბენკეს კონცხის მახლობლად ორი სამხედრო გემი და 4 ნაღმოსანი. ლაპერუზას სრუტეშიაც შეუნიშნავთ 4 ნაღმოსანი რუსთა. იაპონიის მეზღვაურნი გაკვირებულნი არიან სათარეშო გემის «ნოვიკის» უფროსის მოქმედებით. იმ თავიდანვე დიდს მამაცობასა და საოცარს მოხერხებას იჩენსო.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). იაპონელებმა დაიჭირეს ინკოუ. 300 რუსმა, რომელნიც ქალაქში იყვნენ, მოასწრეს და თავს უშველეს. რუსნი მაინც კიდევ ახერხებენ და იაპონელებს პორტ-არტურს ახლოს არ უშვებენ. ჯერ ისევ 14 მილის მანძილზედ არიან ჩრდილოეთად. რუსნი თავ-განწირვით ეწინააღმდეგებიან იაპონელებს.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან— 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორეგ ამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—5)

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

**В. М. МИРИМАНІАНЪ**

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—5)

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,

ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

---



ა მ ე რ ი კ ი ს

## ავტომობილები

ბენზინით მოძრავი

## ველოსიპედები

ბენზინის მატორებით.

**Акц. О-во „ЭНФИЛЬД“**

МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

---



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

---




---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაფი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თ ა რ გ მ ა ნ ი გ რ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეძლევა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენზურის წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

საუკეთესო სააგარაკო ადგილები

# ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

# ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

---

Feriencolonien. Colonie des vacances

„პ ა ტ ა რ ა - ც ე მ ი“-ს

# საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

# მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

---



# ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.-ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს.

---

# ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—9).